

ქართული სიმღერა გაერთიანებულ სამეფოში – სინარული და ხაზანგი

გაერთიანებულ სამეფოში ინტერესი მსოფლიოს უთანხლებო პოლიფონიური სასიმღერო ტრადიციისადმი 1980-იანი წლებიდან ძლიერდება, როგორც „ბუნებრივი ხმის მოძრაობის“ ნაწილი. ეს წამოწყება ეკუთვნის იმ ხალხს, რომელთაც სიმღერის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ვერ იმღერებდნენ იმ დიდ კლასიკურ გუნდებში, რომლებიც განსაკუთრებულ სმენას და მუსიკალურ განათლებას მოითხოვენ. მათ შორის ბევრმა ჯერ კიდევ სკოლაში მიიღო რჩევა, გაჩუმებულიყო, რადგანაც არ შეეძლოთ სუფთად სიმღერა. 1980-იანი წლების შუა პერიოდში გავრცელდა ბულგარული, იუგოსლავიური, სამხრეთ აფრიკული სიმღერები; თავდაპირველად ჩანანერების საშუალებით, ხოლო მოგვიანებით, გაერთიანებული სამეფოს მუსიკისმცოდნეების მიერ, რომელთაც ამ ქვეყნებში იმოგზაურეს. საბჭოთა პერიოდში, რამდენიმე ვიზიტის მიუხედავად, 1992 წლამდე ქართულ სასიმღერო ტრადიციებს აკადემიური წრეების ფარგლებს გარეთ ნაკლებად იცნობდნენ. საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის პირველი შემოქმედებითი კონტაქტები თეატრალურ ჯგუფებს შორის დამყარდა და გაჩნდა უფრო მრავალმხრივი დაინტერესება: საქართველოსი შექსპირით და ბრიტანული თეატრით. ბრიტანელი თეატრალეები ქართველებმა სტუმართმოყვარულად მიიღეს და ამ გზით მათ საშუალება მიეცათ მოესმინათ ტრადიციული პოლიფონიური სიმღერები. უელსის საშემსრულებლო კვლევითი ცენტრის („Centre for performance research“) ერთ-ერთი ჯგუფი სპეციალიზებული იყო ხმის ისტორიის კვლევაში, როგორც დრამატულ, ასევე მუსიკალურ კონტექსტში. ამ ჯგუფზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა სიმღერამ, რომ მათ საქართველოში გაცნობილი ორი მასწავლებელი – ედიშერ გარაყანიძე და იოსებ ჟორდანიას – 1994 წელს ბრიტანეთში მიიწვიეს კვლევითი ცენტრის წევრებისათვის სიმღერის კურსის ჩასატარებლად. ამით სათავე დაედო ამ ორი მასწავლებლის ვიზიტების სერიას, რომლის განმავლობაშიც ისინი გაკვეთილებს ატარებდნენ დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ნაწილში. ამან საგრძნობლად გაზარდა იმ ადამიანთა რიცხვი (ძირითადად ეთნოზნაობით განმსჭვალული მოყვარულები), რომელთაც შეეძლოთ ქართული სიმღერა ემღერათ და გააფართოვა ქართული სიმღერების რეპერტუარი. 1996 წელს ედიშერმა და მისმა ანსამბლმა – „მთიები“ მონაწილეობა მიიღო ლონდონისა და ნიუკასლის მთავარ მუსიკალურ ფესტივალებში. ამას მოჰყვა „მთიების“ პირველი საკონცერტო ტურნე დიდ ბრიტანეთში. ამ ტურნეს განმავლობაში მათ ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

ედიშერის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი 1998 წლის სექტემბერში მოვიდა, „მთიების“ მეორე ვიზიტის წინ. ყოველივე ამის შემდეგ, მათი ტურნე არ უნდა შემდგარიყო. „მთიებმა“ მაინც დიდი მხნეობა შეინარჩუნა და ტურნე გააგრძელა. მათ ყველგან დიდი სიმპატიით შეხვდნენ, გამოხატეს ის ემოციები, რომლებიც ედიშერთან აკავშირებდათ. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ სიმღერას გაერთიანებული სამეფოს სასიმღერო რეპერტუარში. ამ ფაქტიდან ცოტა ხნის შემდეგ, და-

არსდა ქართული ასოციაცია „Georgian Harmony Association“, რათა დაემტკიცებინა, რომ ედიშერის ღვანლი გაერთიანებულ სამეფოში გაგრძელდებოდა და იქ იარსებებდა ქართული სიმღერის მფარველი ასოციაცია. მას დღეს დაახლოებით 300 წევრი ჰყავს.

მას შემდეგ „მთიების“ წევრები მონაწილეობენ გაერთიანებული სამეფოს ყველაზე პრესტიჟულ მსოფლიო მუსიკალურ ფესტივალებში და, ამავდროულად, ატარებენ სიმღერის გაკვეთილებს. აქვე მონაწილეობენ ანსამბლები: „მზეთამზე“, „ამერ-იმერი“ (ქალთა და ახალგაზრდული ანსამბლები) და „ზედაშე“ კახეთიდან. ინდივიდუალურად გვესტუმრნენ მასწავლებლები: ნატო ზუმბაძე, ქეთი ნიკოლაძე, ნინო ციციშვილი, ნანა კალანდაძე, კარლ ლინიქი და ალან გასერი. 2003 წლის მაისისათვის გაერთიანებულ სამეფოში იგეგმება ანჩისხატის ეკლესიის გუნდის ტურნე. გაერთიანებულ სამეფოში ქართული სიმღერის სწავლებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ბრიტანელებს: ელენ ჩედვიკს, ჯენის მანლეის, ჯოან მილზს და სხვებს. სპეციფიკური ქართული გუნდები ჩამოყალიბდა ლონდონში („მასპინძელი“ ვენის მანლეის ხელმძღვანელობით) და რამდენიმე სხვადასხვა ქალაქში. ქართული სიმღერა თავის რეპერტუარში აქვს ბევრ სხვა ადგილობრივ გუნდს. ქართული ფოლკლორული სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბება გააადვილებს ქართველთა და ინგლისელებს ერთმანეთთან სტუმრობას. ასევე ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის ქართული სიმღერის ენთუზიასტების ორმხრივ თანამშრომლობას.

აღბათ, განსაკუთრებული მელოდიურ-ჰარმონიული ნყობის გამო გახდა ქართული სიმღერა ასეთი პოპულარული გაერთიანებულ სამეფოში. რადგანაც მომღერლებს ქართული სიმღერის სწავლის გამოცდილება უკვე ჰქონდათ და სხვადასხვა რეგიონისათვის დამახასიათებელ სტილს ანსხვავებდნენ, მათ თავიანთი ყურადღება პირველად უფრო კომპლექსურ ფორმებს დაუთმეს. ესენია, მაგალითად: ქართლ-კახური სუფრული სიმღერების სოლო პარტიები და გურული სიმღერები კრიმანჭულით. საეკლესიო სიმღერები ყოველთვის პოპულარული იყო და „შენ ხარ ვენახი“ კვლავაც რჩება ყველა დროის სიმღერა-ფავორიტად.

ქართული ხალხური სიმღერის სწავლას ახლდა თავისი სირთულეები. ევროპელები სიმღერისას იყენებენ უპირატესად თავის, ვიდრე მკერდის ან დიაფრაგმის რეგისტრს და ამიტომ საჭირო იყო ახალი ვოკალური ტექნიკის გამომუშავება. იმ სიმღერებში, სადაც ბანი ბურდონულია, მომღერლებს უნდა ესწავლათ, რომ შეიძლებოდა ყველგან ესუნთქათ, მაგრამ არა ფრაზის ბოლოს ბუნებრივი შესვენების დროს. ნამდვილად უცნაური გვეჩვენებოდა, დაგვეჭირა ბგერა მაშინ, როცა სხვა ხმები ისვენებდნენ, შემდეგ კი გაგვენყვიტა სიტყვა, რომ სწრაფად აგველო სუნთქვა, იმ იმედით, რომ არცთუ ისე ბევრი სხვა ამოირჩევდა სუნთქვის ასაღებად სწორედ ამ მომენტს. მელოდიების შესწავლასაც თავისი სირთულეები აქვს. ედიშერის და სხვა მასწავლებლების მიერ ჩამოტანილი სიმღერები დასავლური სანოტო დამწერლობით იყო ჩანერილი, ისე რომ ტრადიციული – ქართული კილოური სისტემა გადმოტანილი იყო დასავლურ მაჟორულ ან მინორულ ნყობაში. ედიშერის ჩანაწერებში ზემოთ და ქვემოთ მიმართული ისრები ნოტის გვერდით აღნიშნავდა ორიგინალში ეგრეთ ნოდებულ მეოთხედ ტონს, რომელთა უღერადობა უჩვეულოა მათთვის, ვინც არ იცნობს ბუნებრივ ინტერვალებს.

არის სხვა მომენტიც: ამ ჩანაწერებში თითქოს ფიქსირებულ, განსაზღვრულ ვარიანტებად „გაქვავებულია“ ის სიმღერები, რომლებიც სხვა შემთხვევაში, თავისი ბუნებით ვარიირებული იქნებოდა. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, შრომის სიმღერების, „ნადური“-ს ჟანრი და წრიულ-საცეკვაო „ფერხული“, რომლებიც მოიცავს მომღერალთა ორი ჯგუფის მიერ ცვალებადი რაოდენობით ნამღერ განსხვავებულ ფრაზებს. გაერთიანებულ სამეფოში და, შესაძლოა, მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ქართული სიმღერების ის ვერსია, რომელიც ორიგინალური მომღერლების მიერაა ნამღერი. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში ამ სიმღერების სწავლის დროს მთავარი საზრუნავია თითოეული ფრაზა ზუსტი რაოდენობით იმღერონ. ჰაერში თითების ზუსტი მოძრაობა თვლას უზრუნველყოფს და თვლაში შეცდომების დაშვებას სასაცილო შედეგები მოჰყვება. სიმღერის დროს სოლისტის სწრაფვა, გამომამუღავნოს ინდივიდუალობის გრძნობა, იმპროვიზაციის შესაძლებლობა, მხოლოდ ახლახან იჩენს თავს ბრიტანეთში.

ზეპირი სწავლება, როგორც მუსიკის ნოტებით სწავლების საპირისპირო სახე, გაერთიანებული სამეფოს „ბუნებრივი ხმის მოძრაობაში“ ჩართული წრეების დისკუსიის საყვარელი საგანია. ზეპირი ტრადიციების შენარჩუნების სურვილის მიუხედავად, მუსიკალური წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანებს ნამგებიან მდგომარეობაში აყენებს ცალკე ფურცლებად გამოცემული მუსიკალური ნაწარმოებების დარიგება, თუმცა უფრო სწრაფად შესწავლის შედეგი აქვთ მათ, ვისაც შეუძლია ნოტების ნაკითხვა, დანარჩენები კი ცდილობენ შეძლებისდაგვარად მიბაძონ მათ. ქართულ სიმღერებს აქვთ როგორც მელიოდიური, ასევე პოეტური სირთულეები. ამ სირთულეების გამო ისინი, სხვა ქვეყნების ფოლკლორული სიმღერებისაგან განსხვავებით, მიჩნეულია ზეპირი სწავლებისათვის შეუფერებლად. ის მასწავლებლები, რომლებიც მოგვიანებით ესტუმრნენ გაერთიანებულ სამეფოს, მათ შორის ნატო ზუმბაძე და კარლ ლინიქი, დაუბრუნდნენ ტრადიციას და ჩამოარიგეს მხოლოდ სიტყვების ფურცლები. ამას მოჰყვა ის, რომ ოთახი საესე იყო ჩამწერი ხელსაწყოებით აღჭურვილი სტუდენტებით. ისინი უიმედოდ ცდილობდნენ დაეჭირათ ყოველი ნაწილის ყოველი ფრაზა, რათა მოგვიანებით ესწავლათ ან ეს სიმღერები ნოტებზე გადაეტანათ თავიანთი გუნდებისათვის.

ასევე რთულია დაიცვა ქართული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც განცალკევებულია მამაკაცთა და ქალთა სიმღერების რეპერტუარი. გარდა იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს გუნდების უმრავლესობა ჩვეულებრივ შერეულია, ცალკეული სქესის გუნდებისათვის ჩატარებული გაკვეთილები არაპრაქტიკულია დროის უკმარისობის თვალსაზრისითაც, რადგან საქართველოდან მასწავლებლები ხანმოკლე ვიზიტებით ჩამოდიან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის რამდენიმე ცენტრში. აგრეთვე, არაა გასაკვირი, რომ ყოველ მომღერალს სურს, დაეუფლოს ყველა ტიპის სიმღერას. ამგვარად, შერეული გუნდებისათვის სიმღერების გადაკეთება გულისხმობს, რომ მამაკაცთა სიმღერები უფრო მაღალ, ხოლო ქალთა სიმღერები შედარებით დაბალ რეგისტრზეა მორგებული, ვიდრე ეს ცალკეული სქესის სიმღერებში იქნებოდა. ამის შედეგად, ჩნდება დიაპაზონის პრობლემა გარკვეული მონაწილეებისათვის. წარმოიშობა მამაკაცთა პარტიის ოქტავით დაბლა, სამღერად უფრო მოსახერხებელ რეგისტრში გადმოტანის ტენდენცია (რაც არც თუ ისე უჩვეულოა ზოგიერთ ტრადიციულ მუსიკაში, მაგრამ სრულიად ტაბუდადებული ქარ-

თულში). ეს ტენდენცია მკაცრად უნდა აღმოიფხვრას მასწავლებლების მიერ. დავამატებთ, რომ ზედა პარტიებში სოლო ხმები პრაქტიკულად იშვიათად არის მოკრძალებული მონაცემების მქონე მომღერლების დიდ ჯგუფში, ამიტომაც ყველა პარტიის დასასრული გუნდურად იმღერება, თვით ზოგიერთი სუფრულის, როგორცაა „მასპინძლო“ მცდელობის შემთხვევაშიც, რაც, რამდენადმე საინტერესო შედეგს იძლევა.

ქართულ სიმღერებში ლინგვისტური თვალსაზრისითაც არის სირთულეები. ადრე თავდაჯერებულ დასავლელ მასწავლებლებს სირთულეები ექმნებოდათ ფშვინვიერი ქართული თანხმოვანი ბგერების გამოთქმასთან დაკავშირებით. ამიტომაც, მოახდინეს მათი სტანდარტიზაცია ისე, რომ ყველა „კ“, „პ“, „ტ“ და ა.შ. იგივენაირად იწერებოდა. ბრიტანეთში აუთენტური გამოთქმის სერიოზული შესწავლის მცდელობა მხოლოდ ახლახან იჩინს თავს იქ მცხოვრები ქართველების დახმარებით, რომლებმაც თვითონაც დაიწყეს გუნდებში გაერთიანება. ბრიტანეთში სირთულეების დასაძლევად გაამარტივეს თანხმოვნების კლასტერები. მაგალითად: „თქვენი“ გახდა „თქენი“, „განბრწყინებული“ „შენ ხარ ვენახში“ – „გაცინებული“ და „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ გახდა „ქრისტე აგდგა კრეთით“.

ქართული ენის ცოდნის უკმარისობა იმასაც ართულებს, რომ შევუსაბამოთ მუსიკალური დინამიკა პოეტურ სემანტიკას. ხშირად ფრაზირება და შესვენებები დგინდება უფრო მეტად წმინდა მუსიკალური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ვიდრე ქართულ სიტყვასთან კავშირში. მაგალითად სიმღერაში „ბატონებო“ („საბოდიშო“) სტრიქონები – „ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია“, ფრაზირების შემდგომ, ამგვარადაა დანაწევრებული: „ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია“ – სასიამოვნო ინგლისური რითმია, მაგრამ, არცთუ მთლად აუთენტური. ამის გარდა, ყველა მომღერალი ვერ ხვდება, როცა მღერის არა ქართულად, არამედ მეგრულად და სვანურად, რომ თითოეულს თავთავისი ლინგვისტური თავისებურებები აქვს. მაგალითად, როგორცაა ბგერა „uh“ მეგრულში, რომელიც ქართულში არ გვხვდება. უცოდინრობის შედეგია ისიც, რომ სიმღერები საკმაოდ ხშირად შეცდომებითაა გაშიფრული კეთილმოსურნე მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ და შემდგომ ვრცელდება, როგორც აუთენტური ვერსიები. მელოდიური შეცდომებიც ამ გზით ვრცელდება.

არსებობს ასევე სოციალურ-რელიგიური ფაქტორები. ქართული სიმღერები უფრო მეტად უკავშირდება საზოგადოებრივ მოვლენებს. ქართული ქორნილების, დღესასწაულების და სხვა რიტუალების ბრიტანულთან შედარება გვიჩვენებს, რომ ბევრი ქართული წეს-ჩვეულების, ტრადიციის დეტალი ჩვენთვის უჩვეულოა, ისევე, როგორც ორთოდოქსული ეკლესიის კალენდარი. ზოგიერთ იდეას, ისეთი როგორცაა ფრაზა „ცხენოსნურიდან“: „ჩემი ცხენი თოხარიკი, ქალს არ იჯენს ულამაზოს, თუ რომ ქალი მოენონა, ზურგი უნდა შესთავაზოს...“ გასაგებია, რომ მტრული რეაქცია მოჰყვება, განსაკუთრებით ქალთა მხრიდან. გაერთიანებული სამეფოს მომღერლებიდან ბევრი გაგებით ხვდება „ბატონებოს“ და მონათესავე სიმღერების კონცეფციას, რომლის მიხედვით ავადმყოფობა სულების მიერაა გამოწვეული. იგი სხეულიდან შეიძლება გამოვიტყუოთ ზრდილობიანი საუბრით, ტკბილსურნელოვანი ყვავილებით. ეს განსაკუთრებით აინტერესებთ მათ, ვინც გატაცებულია მკურნალობის ალტერნატიული ფორმებით. საეკლესიო სიმღერები ყოველთვის სათა-

ნადო პატივისცემით იმღერება. თუმცა მათი ზუსტი მნიშვნელობა და დანიშნულება სიმღერის დროს ყოველთვის სრულად არაა შეფასებული.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ცხადყოფს, რომ ქართული სიმღერა გაერთიანებული სამეფოს სტუდენტებისათვის რთული და ამავე დროს საინტერესო საქმეა. თუმცა, პირველ ხანებში მაინც, აუთენტურობას შემსრულებლობაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მას, ვინც დასავლურ კლასიკურ ტრადიციებზე იყო აღზრდილი, უფრო გაუჭირდა შეჩვევა ამ ტიპის მუსიკასთან, ვიდრე იმას, ვინც უშუალოდ მოვიდა „ბუნებრივი ხმის მოძრაობაში“. ქართული სიმღერის განსხვავებულობა მათ მიერ, ვისი ნიჭიც ადრეულ ასაკში მასწავლებლების მიერ შეუფასებელი დარჩა, აღიქმება როგორც შესაძლებლობების გამოწვევა. ეს სტიმულს აძლევს მათ შეუპოვარ, ძლიერ სურვილს, მოიპოვონ წარმატება იმ სფეროში, რომელშიც ისინი ადრე წარუმატებელი იყვნენ. რეზულტატი, როგორც წესი, შთამბეჭდავია.

ზემოთ თქმული სირთულეების გადალახვას აქვს სხვა დადებითი შედეგიც. ცხადია, რომ ქართული სიმღერა ისეთ მჭიდრო კავშირშია ქართულ ენასა და კულტურასთან, რომ ეს აძლიერებს მრავალი ადამიანის სურვილს, უფრო მეტი რამ აღმოაჩინონ მასში, შეხვდნენ ქართველებს ბრიტანეთში და შესაბამისად ესტუმრონ საქართველოს. მაგალითად, გუნდმა „მასპინძელი“ კარგი ურთიერთობები დაამყარა ლონდონის ქართულ საზოგადოებასთან (რომელსაც არა ჰყავს საკუთარი გუნდი) და მათ ეს გუნდი სამღერად მიიწვიეს რამდენიმე მოვლენასთან დაკავშირებით. მოვლენათა ასეთი განვითარება და „მასპინძელის“ წევრთა რაოდენობა, რომელიც სიმპოზიუმს ესწრებოდა, ამ სურვილის დადასტურებაა.

ასეა თუ ისე, ქართველი ხალხის სიტბოს, გულდიაობას, სტუმართმოყვარეობის შესანიშნავი ტრადიციის გარეშე ამის განხორციელება შეუძლებელია. აღსანიშნავია მათი მზად ყოფნა, განიონ რისკი და ღიად გაუზიარონ თავიანთი კულტურა სხვებს. ამის პასუხად იბადება უდიდესი პატივისცემის გრძნობა ქართული კულტურისადმი, რომელიც ძლიერდება გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ, ქართული სიმღერისათვის თავდადებულ ადამიანებს შორის. ისინი პრივილეგირებულად მიიჩნევენ თავს, რომ შესაძლებლობა მიეცათ უშუალოდ გამოეცადათ ეს ყველაფერი.

ზემოთ თქმული წარმოდგენას გვაძლევს ახლანდელ სიტუაციაზე გაერთიანებულ სამეფოში და შესაძლო პროგნოზებს გვიჩვენებს მომავლისათვის. როგორც აღვნიშნეთ, სანამ ბევრი ადამიანი ცდილობს დაიცვას ქართული ტრადიციების აუთენტურობა, ის უკვე გარდაუვალად გახდა მსოფლიო მუსიკალური სცენის ნაწილი და ეს იმათაც აღმოაჩინეს, ვინც თანამედროვე მუსიკის შემოქმედებითი განვითარების პროცესებშია ჩართული. ლონდონელი მომღერლების ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში საქსოფონისტიც შედის, უზრუნველყოფს „ad libitum“ აკომპანემენტს ისეთი სიმღერებისა, როგორიცაა: „გოგო შავთვალა“ და „აკა სი რექიშო“, რაც საკმაოდ უჩვეულო შედეგებით მთავრდება. სხვებს ხელახლა არაწერილებული ქართული სიმღერები საკუთარ სტილში შეაქვთ და ახდენენ მათ შერწყმას სხვა პოლიფონიურ ტრადიციებთან, მუსიკალურ იდეებთან სხვადასხვა ბგერითი სფეროებიდან. სანამ პურისტები, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, სწრაფად დაგმობენ ამ განვითარებას, უნდა გაითვალისწინონ, რომ მუსიკალური ევოლუცია არასოდეს ყოფილა სტატიკური და ამგვარი სიახლეები გარდაუ-

ვალთ. ქართულ ტრადიციებში კომპოზიტორებმა და სხვა მუსიკოსებმა აღ-
მოაჩინეს სრულიად ახალი ჟანრი, ამიტომაც არც თუ ისე გასაოცარია მათი
სურვილი – შეიტანონ ის საკუთარ შემოქმედებით ფორმებში. ამ ტენდენციას
შეუძლია ძალიან მდიდარი ნაკადი შეიტანოს მუსიკაში, როგორც ერთ მთლი-
ანობაში. მომავალი კი განსჯის ამ პროცესის ეფექტურობას. ამასთან ერთად,
დიდი საშიშროებაა, რომ ზღვარი ძველსა და ახალს შორის ნაიშლება, რასაც
იმ გაგების დაკარგვა მოჰყვება, თუ რა არის ტრადიციული და რა – ახალი. ეს
უკვე მთლიანად მოხდა იმ ტრადიციებში, რომლებმაც შემოაღწიეს გაერთი-
ანებულ სამეფოში, სადაც ტრადიციულ სიმღერებად მიჩნეული ნაწარმოებები
სინამდვილეში ამ სიმღერების თანამედროვე არანჟირებებია. ამას ემატება
უკვე აღნიშნული საშიშროება – სიმღერების მცდარი ვერსიების გავრცელებ-
ისა. აქედან გამომდინარე, მათ, ვინც ქართული აუთენტური ტრადიციის
შენარჩუნებას მიუძღვნეს თავი, ევალებათ დაამტკიცონ, რომ ეს ტრადიცია
შენარჩუნებულია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ამ ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს სიმპოზიუმის ერთ-ერთი თემა, სა-
ხელდობრ, რა დაკარგა და რა შეიძინა ქართულმა სიმღერამ საზღვარგარეთ
გატანის პროცესში. საქართველომ შეიძინა მისი კულტურის მიმართ უზარ-
მაზარი ზრდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. იუნესკოს 2001 წლის მაისის
ოფიციალური განცხადება ქართული პოლიფონიური სიმღერის შესახებ,
როგორც „კაცობრიობის ზეპირი მემკვიდრეობის ხელთუქმნელი შედევრისა“,
ამტკიცებს ამას. შესაძლო დანაკარგია ქართული ტრადიციული მუსიკის არა-
სწორად გამოყენების საშიშროება, და ის ფაქტიც, რომ საზღვარგარეთელე-
ბისათვის, რამდენადაც კეთილმოსურნე არ უნდა იყვნენ ეს ადამიანები, სრუ-
ლი აუთენტურობის მიღწევა შეუძლებელია, ქართული კულტურის ღრმა კვლე-
ვის გარეშე, ბუნებრივ მუსიკალურ ურთიერთობასთან ერთად. ამ სირთულის
მიუხედავად, ქართული სიმღერა სასიამოვნო ანაზღაურებაა მათთვის, ვინც
მას მღერის, და ისეთ ეკლექტურ გარემოში, როგორც გაერთიანებულ სამეფო-
შია, განვითარების შესაძლებლობები ყოველთვის იარსებებს. ამ ტრადიციას ყო-
ველთვის ექნება განვითარების კარგი შესაძლებლობა. ყოველივე ამის გარდა,
მუსიკალური თუ სხვა ახალი ტრადიციების პატივისცემა, რაც მსოფლიოს
კულტურულ მემკვიდრეობას ქმნის, ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთ-
გაგებას, ურთიერთთანამშრომლობას და მშვიდობის დამყარებას.

დასასრულს, მე მსურს უფლება მივცე რამდენიმე ჩემს მეგობარ მომღე-
რალს, მათ შორის, ანსამბლ „მასპინძელი“-ის რამდენიმე წევრს თავიანთი სათ-
ქმელი თქვან. მე მათ ვთხოვე გამოეთქვათ, თუ რას ნიშნავს მათთვის ქართუ-
ლი სიმღერა. აქ თავმოყრილია ის აზრები, რომლებიც შევკრიბე:

„მუსიკა და ჰარმონიები გასაოცარია, ვნებიანი, ლამაზი, ძლიერი, შესანიშ-
ნავი, ამაღლებელი, მკაცრი, თავისუფალი, დიდებული, მჩხვლეტავი, შეგრ-
ძნებით ძალიან ძველი, განსხვავებული, გამორჩეული, ძნელი, მჟღერი, მდი-
დარი, განსაკუთრებული“.

„ტონისა და ბგერის რეზონანსი სიმღერის შეწყვეტის შემდეგაც გრძელ-
დება: მისი ზემოქმედება ამაღლებელი და აუწერელია. ემოციურად მუქი,
მდიდარი და უსასრულოა“.

„ქართული სიმღერების შესრულება სამკურნალო გამოცდილებაა – მან
განკურნა ჩემი თავის ტკივილები“.

„ენა ფონეტიკურად არამონათესავეა, სუფთა, იუმორით და პათოსით,

რთული, მაგრამ ასევე საინტერესო, ფონეტიკური ბგერები აძლიერებენ მუსიკალურ ტემბრს“.

„ქართული სიმღერა დაკავშირებულია რაღაც ძველთან, მაგრამ კვლავაც ცოცხალთან, რისი არსებობაც ჩვენ უკვე დავკარგეთ თანამედროვე სამყაროში. ის ნაწილია რაღაც უფრო ძველის და უფრო ბრძნულის. მას კავშირები აქვს ცხოვრების წესთან და მოვლენებთან: დაბადება, ქორწინება, ძველებური რიტუალები და ა.შ. ის გამოხატავს არა მარტო საქართველოს ხასიათს და მისი ხალხის სიყვარულს სიმღერებისადმი, ასევე იმ ამბებს, რომლებსაც ყოველ ჩვენგანს უყვება. სოციალური ასპექტი გამიჯნული არაა ხელოვნებისაგან“.

„კავშირი ქართულ სუფრასთან სიმღერას ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად აქცევს. ეს მას კი არ აკნინებს, არამედ მეტ ღირსებას მატებს“.

„ქართველები ხშირად აღტაცებით ხვდებიან ჩვენს მცდელობას, შევასრულოთ მათი სიმღერები, თუმცა ჩვენ, ალბათ ბევრ შეცდომებს ვუშვებთ“.

„მას აქვს სერიოზული, ღრმა ხასიათი, მაგრამ ასევე ქმნის სილამაზეს და მხიარულებას. ის გვაძლევს ბედნიერების და კარგად ყოფნის შეგრძნებას“.

„მუსიკა მოდის მთელი სხეულიდან – ის ბადებს ერთიანობის შეგრძნებას და ყველა ასაკის, შესაძლებლობის ადამიანს უფლებას აძლევს იმღეროს“.

„ქალები მღერიან გაბედულად, მინიერი ბგერებით, ღრმა მკერდისმიერი ხმით, მაგრამ არა მალაღრმე რეგისტრში და ჰაეროვნად, როგორც დასავლურ მუსიკაში“.

„ის შეიგრძნობა, როგორც ცოცხალი, ქმნის კავშირებს, ყოველივეს მოიცავს. ის არც ისე რთულია მოყვარულთათვის“.

„შესანიშნავი სმენითი ეფექტია სამივე ხმის სწავლის შემდეგ მათი შეერთება“.

„მელანქოლიურ სიმღერებშიც კი არის სითბო და ისინი სითბოს ქმნიან მთელ ჯგუფშიც“.

„შესრულებას აქვს არაოფიციალური სახე. ნაკლები გამიჯვნა მსმენელსა და შემსრულებელს შორის, ვიდრე ტრადიციულ კონცერტებზე. შემსრულებლები აწვითარებენ თავიანთ ინდივიდუალობას“.

„ის აკავშირებს ხალხს – ზოგი იძენს ახალ მეგობარს და ზოგჯერ ცხოვრების მეგზურსაც კი“.

„მის პირველივე მოსმენას ხალხში აღტაცებული და ენთუზიაზმით სავსე გამოძახილი მოჰყვება. ის გვთმობს ჩვეულებრივი ცხოვრებიდან და გჭრუქნის წმინდა ბედნიერების მომენტებს“.